გაგზავნა/To Send

გზავნილის საკონტროლო კოდი/MTCN:

3125570081

მომხმარებლის ხელმოწერა / Customer Signature

გამგზავნი/Sender: EVGENIIA VERBITSKAIA

აგენტის ხელმოწერა / Agent signature

გამგზავნის ანგარიში/Sender's account number: GE17TB7718445064400002

ANDROPOVA KUCHA 29, BINA 66, MOSKOVI, RUS

, (995) 7 557763350

Non Resident Passport

პირადობის დამადასტურებელი საბუთის

ტიპი/ID Type:

დოკუმენტის ნომერი/ID Number: 551355163

საბუთის გამცემი ქვეყანა/ID issuer: Russian Federation

გაცემის თარიღი/ID issue date: 27/02/2024

მოქმედების ვადა/ID expiration date: 27/02/2034

საკონტროლო შეკითხვა/Test Question:

პასუხი/Answer:

მიმღები/Receiver: Olga Shalman

ქალაქი/City:

მიმღები ქვეყანა/Destination Country: Israel

შტატი/State:

თარიღი/Date

მისამართი, ტელეფონი/Address, Telephone:

972 +972 503393215

შეტყობინება/Message:

თარიღი და დრო/Date & Time: 23/02/2026 19.36.13

ოპერატორის ნომერი/Operator ID: ადმინისტრატორი

აგენტის დასახელება/Agent: TBC BANK

გაგზავნილი თანხა/Amount Sent: 3,220.00

გადარიცხვის საკომისიო/Transfer Fee: 22.54

სატელეფონო შეტყობინების საკომისიო/

Phone Notification Charge: 0.00

შეტყობინების საკომისიო/Message Charge: 0.00

სულ თანხა/Total: 3,242.55

კურსი/Exchange rate:

მისაღები თანხა/Expected payment amount: 3,220.00

USD

1) თუ თქვენი ფულადი გზავნილის განხორციელებისას ვალუტის კურსი განსაზღვრული იყო იმ მომენტში, გადახდის ვალუტა და გაცვლითი კურსი მითითებული იქნება თქვენს ქვითარზე. დანარჩენ შემთხვევაში ვალუტის გაცვლის კურსი დადგენილი იქნება მიმღებისათვის ფულის გაცემის მომენტში. 2) ცალკეული პირობები, რომელთა შესაბამისად ხორციელდება მოცემული მომსახურეობის გაწევა, ჩამოყალიბებულია ქვემოთ. წინამდებარე ოპერაციის შესრულებისას თქვენ თანხმობას აცხადებთ მითითებულ პირობებზე. ფულადი გზავნილების გაგზავნაზე ტარიფების დამატებით Western Union-ი და მისი პარტნიორები იკავებენ სხვაობას გზავნილის მიღების ქვეყანაში ვალუტის გაცვლის ოფიციალურ კურსსა და Western Union-ის ვალუტის გაცვლის შიდა კურსს შორის. გთხოვთ გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ მნიშვნელოვან ინფორმაციას ვალუტის გაცვლის შესახებ. დაიცავით თავი თაღლითებისაგან. ფრთხილად იყავით, თუ უცნობი პირები გთხოვენ განახორციელოთ გზავნილი. არ შეატყობინოთ მესამე პირს რაიმე სახის ინფორმაცია მოცემული გზავნილის შესახებ. 3) კლიენტების მოტყუების თავიდან აცილება: ჩვენ რეკომენდაციას გიწევთ არ გაუგზავნოთ ფული უცხო პირს, ან უცხო პირის თხოვნით. თქვენი ყურადღება უნდა მიაქციოთ იმას, რომ არც Western Union-ი, არც Western Union-ის პარტნიორები არ იძლევიან გარანტიას, რომ თქვენ მიიღებთ Western Union-ის ფულადი გზავნილის მეშვეობით ანაზღაურებულ მომსახურეობას და საქონელს. არ აცნობოთ მესამე პირს, მიმღების გარდა, გზავნილის საკონტროლო ნომერი ან გზავნილის შესახებ რაიმე სახის ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია იმასთან, რომ ასეთი ინფორმაციის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს გზავნილის არაჯეროვანი გადახდა. გაფთხილებთ, რომ მომსახურეობა “Western Union-ის ფულადი გზავნილები” არ უნდა იყოს გამოყენებული საქონლის ან მომსახურეობისათვის ანაზღაურების განხორციელების გარანტიის სახით. არცერთ გარემოებაში Western Union-ს და მის პარტნიორებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნი აცნობებს მესამე პირს, მიმღების გარდა, გზავნილის საკონტროლო ნომერს ან გზავნილის შესახებ რაიმე სახის სხვა ინფორმაციას. 4) წინამდებარე შეთანხმება დადებულია ჩემსა და ორგანიზაცია-პარტნიორს შორის, რომელიც მითითებულია წინამდებარე ბლანკის მარჯვენა ზედა კუთხეში. 5) ჩემს მიერ შესრულებული ოპერაცია არ არის დაკავშირებული სამეწარმეო ან საინვესტიციო საქმიანობის განხორციელებასთან, ასევე უძრავ ქონებაზე უფლების შეძენასთან. მომსახურეობის გაწევის პირობები ჩამოყალიბებულია ქვემოთ. წინამდებარე განცხადების ხელმოწერით მე ვადასტურებ, რომ წავიკითხე, გავიგე და ვეთანხმები მომსახურეობის პირობებს.

If the exchange rate for your transaction was determined at the time you sent the money, the currency to be paid out and the exchange rate are listed on sender's receipt. Otherwise, the exchange rate will be set at the time of collecting the funds. Certain terms and conditions governing the money transfer service you have selected are set on the back of this form. By signing this form, you are agreeing to those terms and conditions. In addition to the transfer fee, Western Union and its partners also make money from the exchange of the currencies. Please see important informacion regarding currency exchange set forth on the back of this form. Protect yourself from consumer fraud. Be careful if a stranger asks you to send money. DO NOT DIVULGE DETAILS OF THIS MONEY TRANSFER TO A THIRD PARTY. Consumer Fraud Alert: We discourage you from sending money to, of at the request of, any unknown person or paying for goods or services prior to their receipt. Please note that Western Union does not guarantee the satisfoactory receipt of goods or services paid for by means of a Western Union money transfer. Do not communicate the MTCN or other money transfer details to anybody except the intended recepient as doing so may enable its payout. We caution you against using the Western Union Money TransferSM service as a guaranty of payment for goods or services. In no event shall Western Union or any of its partners be liable if the sender communicates transactional data to any person other than the recipient. Hereby I confirm that this agreement is concluded between me and the agency identified in the right corner of this form. Hereby I confirm that this currency operation is neither connected with business or investment activity, nor with property right purchase. The terms and conditions on which the service is rendered are set out on the back side of this form. By signing this form I acknowledge that I have read, understood and accepted those terms and conditions.

USD

USD

USD

USD

USD

გამომგზავნი ქვეყანა/Origination Country: Georgia

მისამართი, ტელეფონი/Address, Telephone:

მომსახურების ფარგლებში ფულის გაგზავნა და მიღება შესაძლებელია განხორციელდეს Western Union-ის პარტნიორთა მომსახურების პუნქტების უმრავლესობაში, რომლებიც მთელ მსოფლიოში არსებობს. თქვენთან მდებარე უახლოესი პუნქტის მისამართისა და მუშაობის საათების დასაზუსტებლად დარეკეთ ქვემოთ მითითებულ ტელეფონის ნომერზე. ზოგიერთი მომსახურების პუნქტი მთელი დღე-ღამის განმავლობაში მუშაობს. ფულადი გადარიცხვები, როგორც წესი, გაგზავნიდან რამდენიმე წუთში გადაეცემა მიმღებს იმ მომსახურების პუნქტის მუშაობის საათების მიხედვით, სადაც წარმოებს გადახდა. „ეკონომ“ ფულადი გადარიცხვები და ანგარიშიდან ფულადი გადარიცხვები მისაწვდომია შეზღუდული რაოდენობის ქვეყნებში. „ეკონომ“ ფულადი გადარიცხვების გადახდა შესაძლებელია 24 ან 48 საათის შემდეგ. ანგარიშიდან ფულადი გადარიცხვები ზოგიერთ შემთხვევაში 3 საათის შემდეგ გაიცემა, მობილური ფულადი გადარიცხვები კი, რომლებიც მობილურ საფულეზე ჩაირიცხება, სულ რამდენიმე წუთში უკვე მისაწვდომია. გადახდის თანხის გადაჭარბებამ, საკანონმდებლო ან სხვა შეზღუდვებმა შეიძლება გამოიწვიოს ფულადი გადარიცხვის გაცემის დაგვიანება. Western Union-ი არანაირი მიზნით არ ასრულებს არცერთი ბანკის წარმომადგენლის ან აგენტის ფუნქციებს და არცერთი ბანკის სახელით არ იღებს შესატანს. დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ზემოთ მითითებულ ტელეფონზე. ფულადი გადარიცხვები, ჩვეულებრივ, ნაღდი ფულით გაიცემა. Western Union-ის პარტნიორთა ზოგიერთ მომსახურების პუნქტში ფულადი გადარიცხვის გადახდა შეიძლება ჩეკებით განხორციელდეს ან ნაწილის - ჩეკებით, ნაწილის - ნაღდი ფულით ან მიმღების მიერ არჩეული საშუალებით, ზოგი ფულადი გზავნილი კი შეიძლება მიმღების ანგარიშზე ჩაირიცხოს. ყველა გადახდა ხორციელდება მომსახურების პუნქტში არსებული ფულადი თანხის და მიმღების მიერ პირადობის დამადასტურებელი საბუთის იმ ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის თანახმად წარმოდგენის გათვალისწინებით, სადაც წარმოებს გადახდა. მიმღებმა ასევე უნდა გააცნოს პარტნიორს ფულადი გადარიცხვის ყველა საჭირო რეკვიზიტი გამგზავნის და მიმღების სახელების, იმ ქვეყნის, საიდანაც იგზავნება გადარიცხვა, გზავნილის მიახლოებითი თანხის და პარტნიორის მიერ მოთხოვნილი სხვა რეკვიზიტების ჩათვლით, როგორიცაა, კერძოდ, ფულადი გადარიცხვის საკონტროლო ნომერი, რომლის დასახელებაც აუცილებელია ფულადი გადარიცხვის მისაღებად ზოგიერთ ქვეყანაში. გამგზავნი ანიჭებს მიმღებს უფლებამოსილებას თავად აირჩიოს ფულადი გზავნილის მიღების საშუალება, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს თავად გამგზავნის მიერ შერჩეულისაგან. თანხა გაიცემა პირზე, რომელსაც Western Union-ის ან პარტნიორის აზრით უფლება აქვს მიიღოს ფულადი გზავნილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ. ფულადი გზავნილი იმ შემთხვევაშიც კი შეიძლება გაიცეს, როცა მიმღების განაცხადში შეცდომაა. თქვენთვის ცნობილია, რომ არც Western Union-ი და არც პარტნიორები არ ამოწმებენ თანხის გაგზავნისა და მიღებისათვის განაცხადებს მიმღების მისამართის დასაზუსტებლად. ზოგიერთ ქვეყანაში მიმღებმა უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი ან საკონტროლო კითხვის პასუხი, ან ერთიც და მეორეც. საკონტროლო კითხვები არ შიძლება გამოყენებულ იქნეს კლიენტის მიერ, როგორც დამატებითი უსაფრთხოების ან გზავნილის გადახდის დაგვიანების საშუალება. ზოგიერთ ქვეყანაში საკონტროლო კითხვები აკრძალულია. გამოყენებული კანონმდებლობით ფულადი გადარიცხვების განმახორციელებელ კომპანიებს ეკრძალებათ ოპერაციების წარმოება ზოგიერთ პირსა და ქვეყანასთან. ამ აკრძალვის შესასრულებლად Western Union-ში უნდა შემოწმდეს ყველა ოპერაცია სახელების იმ სიებთან შესაბამისობის თვალსაზრისით, რომლებიც იმ ქვეყნებისა და ტერიტორიების მთავრობების მიერ არის მოწოდებული, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას, მათ შორის აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს უცხოური აქტივების კონტროლის სამმართველოსა (OFAC) და ევროკავშირის მიერ. სახელთა დამთხვევისას Western Union-ი ვალდებულია ჩაატაროს ოპერაციების შემოწმება იმის დასადგენად, არის თუ არა სინამდვილეში გამგზავნი ან მიმღები ის პირი, რომლის მონაცემებიცაა შეტანილი სიაში. ამ შემთხვევაში კლიენტებს შესაძლოა მოსთხოვონ დამატებითი მონაცემებისა თუ ინფორმაციის წარდგენა პიროვნების დასადასტურებლად. ოპერაციის შესრულება შეიძლება განუსაზღვრელი ვადით გადაიდოს OFAC-ის შეზღუდვების შესაბამისად. აღნიშნული ზომების მიღება აუცილებელია ყველა ოპერაციისათვის, რომლებსაც Western Union-ი ახორციელებს (აშშ-ის ფარგლებს გარეთ გადარიცხვების ჩათვლით). მინდობილობა - Western Union-ის წესებით აკრძალულია მინდობილობის გამოყენება (მიუხედავად დამოწმების ხერხისა) როგორც ფულადი გადარიცხვის გაგზავნის, ასევე მიღების დროს. ფულადი გადარიცხვის საფასური - მომსახურების ტარიფიკაციის შესახებ ინფორმაცია პარტნიორის მომსახურების პუნქტშია განთავსებული ან გამგზავნს გააცნობენ მას ფულადი გადარიცხვის გადაგზავნის დასრულებამდე. იმ ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, სადაც წარმოებს გადახდა, საფასურს ისდის გადარიცხვის გამგზავნი. ზოგიერთ შემთხვევაში თანხის გაცემა შეიძლება დაიბეგროს გადასახადებითა და მოსაკრებლებით. ვალუტის გადაცვლა - ჩვეულებრივ, ფულადი გადარიცხვები იგზავნება იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც თანხის გაცემა ხორციელდება (ზოგიერთ ქვეყანაში თანხა გაიცემა მხოლოდ აშშ დოლარებში ან სხვა ვალუტაში). იმ შემთხვევაში, თუ გადარიცხვის გაგზავნის კურსი მისი გადახდის კურსისაგან განსხვავდება, კონვერტაციის კურსი Western Union-ის სისტემის კურსის მიხედვით დგინდება. კონვერტაცია წარმოებს ფულადი გადარიცხვის განხორციელებისას და მიმღები თანხას ამ ფორმაში მითითებულ ვალუტაში მიიღებს. ზოგიერთი ქვეყანაში ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად კურსი თანხის გადახდისას უნდა განისაზღვროს. ასეთ შემთხვევებში თანხა ამ ფორმაში მითითებულ გადახდის ვალუტაში შეიძლება განსხვავდებოდეს მიმღების მიერ ფაქტობრივად მიღებული თანხისგან გადარიცხვის თანხის გაგზავნიდან მისი მიღების მომენტამდე ვალუტის კურსის მერყეობის გამო. Western Union-ის კურსი დგინდება ვალუტის კომერციული ბანკთაშორისი კოტირებისა და Western Union-ის საკომისიოს მიხედვით. კურსების უმეტესობა დღეში რამდენიმეჯერ განახლდება მსოფლიო ფინანსური მოედნების დახურვის კურსების შესაბამისად. Western Union-ის კურსი შესაძლოა სხვა ბანკთაშორის კურსებთან შედარებით ნაკლებად ხელსაყრელი იყოს. ოფიციალურ კურსსა და Western Union-ის კურსს შორის ნებისმიერი სხვაობის თანხა დაკავდება Western Union-ის (ზოგ შემთხვევაში კი პარტნიორების მიერ). მომსახურების საფასური, ისევე როგორც ვალუტის გაცვლითი კურსი შესაძლოა განსხვავდებოდეს ქვეყნების მიხედვით. Western Union-ის ზოგიერთი პარტნიორი მიმღებს გამგზავნის მიერ არჩეული ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში სთავაზობს ფულადი თანხის მიღებას. ამ შემთხვევაში Western Union-ს (ან მის პარტნიორს) შეუძლია შემოსავალი მიიღოს ფულადი გადარიცხვის მიმღების მიერ არჩეულ ვალუტაში კონვერტაციიდან. თუ თქვენს მიერ არჩეული გადახდის ვალუტა იმ ქვეყნის ეროვნული ვალუტისაგან განსხვავდება, სადაც თქვენ ფულს აგზავნით, შესაძლოა, თქვენს მიერ არჩეული ვალუტა არ აღმოჩნდეს იმ ქვეყნის Western Union-ის პარტნიორის მომსახურების პუნქტში ან არ იყოს ამ ვალუტის საკმარისი რაოდენობის კუპიურები თქვენი ფულადი გადარიცხვის მთელი თანხის გასაცემად. ამ შემთხვევაში Western Union-ის პარტნიორს მიმღების თანხმობით შეუძლია თქვენი ფულადი გზავნილი მთლიანად ეროვნულ ვალუტაში გასცეს. ცალკეული ქვეყნების მიხედვით კურსების თაობაზე დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ ზემოთ მითითებულ ტელეფონზე მიიღოთ. ფულადი გზავნილების გაგზავნა და მიღება იმ ქვეყნებში, სადაც ვალუტის არჩევანი არსებობს: ფულადი გზავნილის გადახდის ვალუტის შერჩევა ამ გზავნილის გაგზავნის დროს ხდება. მომსახურების საფასური და Western Union-ის (Western Union-ის პარტნიორების, მობილური კავშირის ოპერატორების) შემოსავალი გაგზავნის ვალუტის სხვა ვალუტაში კონვერტაციიდან შეიძლება განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ რომელი ვალუტა შეარჩიეთ თქვენ თანხის მისაღებად. ზოგიერთ ქვეყანაში მიმღებს შეუძლია გამგზავნის მიერ მითითებული ვალუტისაგან განსხვავებული ვალუტა შეარჩიოს გზავნილის მიღებისათვის. Western Union-ი (Western Union-ის პარტნიორები, მობილური კავშირის ოპერატორები) დამატებით შემოსავალს იღებს გამგზავნის მიერ მითითებული ვალუტის იმ ვალუტაში კონვერტაციისას, რომელიც მიმღებმა შეარჩია. დამატებითი მომსახურება: მიმღებისთვის ფულადი გზავნილის შესახებ შეტყობინება ტელეფონის საშუალებით ქვეყნების უმრავლესობაში დამატებითი საფასურის გადახდით ხორციელდება. ბანკიდან ჩეკის ან ანგარიშის კურიერის მეშვეობით მიწოდება მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში და გარკვეულ დანიშნულების ადგილებამდე ხორციელდება დამატებითი საფასურის გადახდით. დამატებითი შეტყობინება ქვეყნების უმრავლესობაში დამატებითი საფასურის გადახდით ხორციელდება ფულად გზავნილთან ერთად.SMS - ზოგიერთ ქვეყანაში Western Union-ი დამატებითი საფასურის გადახდის მოთხოვნის გარეშე სთავაზობს გამგზავნს SMS შეტყობინებით მომსახურებას გზავნილის გაცემის და მიმღებს - გზავნილის ჩამოსვლის შესახებ. SMS შეტყობინება იგზავნება მოცემულ ფორმაში მითითებულ გამგზავნის და/ან მიმღების ნომერზე, თუ ეს აკრძალული არ არის გამოყენებული კანონმდებლობით. Western Union-ი შეტყობინებებს აგზავნის შლუზით, შემდგომი მიწოდებისთვის და იქიდან გამომდინარე, რომ მიწოდებას მესამე პირები ახორციელებენ, არ იძლევა მიმღებისთვის შეტყობინების მიწოდების გარანტიას. Western Union-ი არ აგებს პასუხს ტექნიკურ ხარვეზებზე Western Union-ის სისტემის ფარგლებს გარეთ.ფულადი გზავნილები ანგარიშიდან (ანგარიშზე) - მობილური ფულადი გზავნილები - ქვეყნებში, სადაც აღნიშნული მომსახურება ხორციელდება, მიმღებს შეიძლება დამატებითი საფასური გადაახდევინონ, თუ ის ფულადი გზავნილის თავისი მობილური ტელეფონით, საბანკო ან სხვა ანგარიშით მიღებას ისურვებს. ფულადი გადარიცხვა იგზავნება მიმღების ანგარიშის ვალუტაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ფულადი თანხების ჩარიცხვის განმახორციელებელ ორგანიზაციას შეუძლია კონვერტაციის საკუთარი კურსი გამოიყენოს და უარი თქვას ტრანზაქციის ჩარიცხვაზე. მიმღებსა და კავშირგაბმულობის ოპერატორს „ელექტრონული საფულის“ - mWallet ოპერატორს ან იმ ორგანიზაციას შორის, რომელშიც მიმღების ანგარიშია გახსნილი, დადებული ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულია მათი უფლებები, პასუხისმგებლობა, ტარიფები და ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებული შეზღუდვები. იმ შემთხვევაში, როცა ანგარიშის ან ტელეფონის ნომერი და მიმღების სახელი არ ემთხვევა მითითებულს, ფულადი თანხა შეიძლება ჩაირიცხოს გამგზავნის მიერ ფორმაში მითითებულ ანგარიშის ან ტელეფონის ნომერზე. Western Union-ს შეუძლია მიიღოს შემოსავალი ანგარიშის გამოყენებასთან დაკავშირებული საფასურიდან. Western Union-ი პასუხს არ აგებს გამგზავნისა და ანგარიშის მფლობელის წინაშე დამატებითი ხარჯების, კონვერტაციის საფასურის, იმ ორგანიზაციის ქმედებებისა და შეცდომების გამო, რომელშიც მიმღების ანგარიშია გახსნილი ან შუამავალი ორგანიზაციის ქმედებებისა და
შეცდომების გამო.

თანხის დაბრუნება და ადმინისტრაციული მოსაკრებლები - Western Union-ი ან პარტნიორი ვალდებულია გამგზავნის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დაუბრუნოს (ფულადი გზავნილის დაბრუნების მომენტისათვის არსებული კურსის მიხედვით) მას ფულადი გზავნილის თანხა, თუ ის არ გაიცა მიმღებზე 45 დღის ვადაში. Western Union-ს ან პარტნიორს ასევე შეუძლია დაუბრუნოს გამგზავნს ფულადი გზავნილის თანხა მისი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, თუ ეს თანხა გონივრულ ვადებში არ გაიცა მიმღებზე. დაბრუნება შეიძლება განხორციელდეს მომსახურების პუნქტის მუშაობის საათებში, ასევე სხვა გარემოებების გათვალისწინებით, Western Union-ის ან მისი პარტნიორებისაგან დამოუკიდებელი ისეთი გარემოებების ჩათვლით, გამონაკლისის გარეშე, როგორიცაა მაგალითად ამინდი ან ტელეკომუნიკაციების ქსელის ხარვეზები. გზავნილის თანხის გადახდა შეიძლება შეჩერებული იქნეს აშშ-ის და ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. თუ ეს დაშვებულია გამოყენებული კანონმდებლობით, Western Union-ს შეუძლია თანხის დაქვითვა ფულადი გზავნილებიდან, რომლებიც გამგზავნმა ან მიმღებმა არ მოითხოვეს გაგზავნის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში. Western Union-ი არ იძლევა იმ საქონლისა თუ მომსახურების მიწოდების ან ხარისხიანობის გარანტიას, რომლის საფასურიც Western Union-ის სისტემის მეშვეობით ფულადი გზავნილითაა გადახდილი. ფულადი გზავნილის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია და გამგზავნმა ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა აცნობოს მესამე პირებს, გარდა მიმღებისა. გამგზავნი გაფრთხილებულია იმ რისკის თაობაზე, რომელიც არსებობს უცნობი პირებისათვის ან უცნობი პირს თხოვნით ფულადი გზავნილების განხორციელებისას. არც Western Union-ს და არც მის პარტნიორებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა გამგზავნის ან მიმღების მიერ თანხის დაკარგვისათვის იმ შემთხვევაში, თუ მათ გზავნილის შესახებ ინფორმაცია მესამე პირს გადასცეს. Western Union-ის ან მისი პარტნიორის პასუხისმგებლობა ფულადი გზავნილის დაგვიანების, გადაუხდელობის, არასრული გადახდის ან დამატებითი შეტყობინების მიუღებლობის შემთხვევაში მიყენებული ზარალისათვის მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს გამოწვეული Western Union-ის ან მისი პარტნიორის თანამშრომლების უყურადღებობით ან სხვა მიზეზით, არ უნდა აღემატებოდეს 500 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას (დამატებით გზავნილის ძირითადი თანხისა და გზავნილის განხორციელების საფასურის დაბრუნებით). Western Union-ი და მისი პარტნიორები პასუხს არ აგებენ განაცდური სარგებლის (სხვა არაპირდაპირი ზარალის) ანაზღაურებით. პასუხისმგებლობის შეზღუდვა, რომელიც ზემოთ მივუთითეთ, არ ეხება Western Union-ის პასუხისმგებლობას ზარალის გამო, რომელიც მისი თანამშრომლების უხეში დაუდევრობითა თუ განზრახ ჩადენილი დარღვევებითაა გამოწვეული იმ ქვეყნებში, სადაც პასუხისმგებლობის ამგვარი შეზღუდვა ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას. იმ შემთხვევაში, თუ Western Union-ის პარტნიორი ფულადი გზავნილის გადახდისათვის ჩეკს, სადებეტო ან საკრედიტო ბარათს ღებულობს ან სხვა უნაღდო ფორმით გადახდას ახორციელებს, Western Union-ი და/ან პარტნიორი არ არიან ვალდებული განახორციელონ ან გასცენ ფულადი გზავნილი, თუ შეუძლებელია უნაღდო ფორმით ფულადი სახსრების მიღება. Western Union-ი და მისი პარტნიორები არ აგებენ პასუხს ნებისმიერი ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია ფულადი გზავნილის თანხის გაუცემლობამ ფულადი სახსრების მიღების შეუძლებლობის გამო. Western Union-ი უფლებას იტოვებს, გაუფრთხილებლად შეცვალოს მომსახურების გაწევის პირობები. გარდა ამისა, Western Union-ს და მის პარტნიორებს შეუძლიათ უარი უთხრან მომსახურებაზე ნებისმიერ პირს მიზეზის განმარტების გარეშე. პერსონალური მონაცემების დაცვა - თქვენი პერსონალური მონაცემები გამოყენებული კანონმდებლობის ნორმების შესაბამისად დამუშავდება. თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავებული იქნება Western Union-ისა და მისი პარტნიორების მიერ. Western Union-ი იყენებს თქვენს მიერ გზავნილის გაგზავნის/მიღების დროს ბლანკის შევსებისას მიწოდებულ პერსონალურ მონაცემებს (ინფორმაციას), ასევე Western Union-ის სისტემით განხორციელებული ოპერაციებით შეკრებილ ან მიღებულ ინფორმაციას, მაგალითად გზავნილების შესახებ ან ლოიალურობის პროგრამებში მონაწილეობის შესახებ, გზავნილების ისტორიის და მარკეტინგული პრიორიტეტების შესახებ, თქვენთვის მომსახურების გაწევის მიზნით (ადმინისტრირების, კლიენტთა მხარდაჭერის, მომხმარებლის მიერ დადასტურების, თაღლითობის თავიდან აცილების, ბიზნესის განვითარებასა და პროდუქტების გასაღებაზე მიმართული ქმედებების ჩათვლით). Western Union-ი ასევე გამოიყენებს ინფორმაციას სხვა საქონლისა და მომსახურების თაობაზე, როგორიცაა ბონუსური ბარათები და ლოიალურობის პროგრამები, რომლებიც თქვენ შეარჩიეთ Western Union-ის ან Western Union-თან აფილირებული პირებისგან მისაღებად. Western Union-ი და Western Union-ის პარტნიორები ასევე დაამუშავებენ გამგზავნის მიერ მესამე პირის, მაგალითად გზავნილის მიმღების შესახებ მოწოდებულ ინფორმაციას (ინფორმაცია მესამე პირის შესახებ), გზავნილის განხორციელების მიზნებისათვის. ინფორმაციისა და მესამე პირის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ნებაყოფლობითია და საჭიროა (ამ ნაწილის პირობების შესაბამისად) ფულადი გზავნილის განსახორციელებლად. ამ ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია ფულადი გზავნილის განხორციელება და სხვა მომსახურების გაწევა. თქვენ ადასტურებთ, რომ გააფრთხილეთ მესამე პირი იმის თაობაზე, თუ როგორ იქნება გამოყენებული ინფორმაცია მესამე პირის შესახებ, როგორც ეს ზემოთაა მითითებული, ასევე იმას, რომ მიიღეთ მესამე პირის თანხმობა ამგვარი ინფორმაციის დამუშავებაზე. Western Union-ს შეუძლია გამგზავნის სახელი და მისამართი გამოიყენოს ფოსტის საშუალებით სარეკლამო ინფორმაციის გაგზავნისას. თუ თქვენ დამატებითი მინდვრები შეავსეთ, Western Union-ს, ასევე მასთან აფილირებულ პირებს და პარტნიორებს შეუძლიათ სარეკლამო ხასიათის საინფორმაციო მასალა გამოაგზავნონ შესაბამის ფორმატში (SMS/email/MMS), ამასთან გამგზავნი ეთანხმება ყველა მოსაკრებელს, რომელიც ამგვარი მომსახურების მომწოდებლის სასარგებლოდ გადაიხდევინება. თუ თქვენ არ გსურთ ამგვარი ინფორმაციის მიღება, აცნობეთ ამის შესახებ ქვემოთ მითითებულ ნომერზე. Western Union-ი და Western Union-ის პარტნიორები ინფორმაციას და მესამე პირების შესახებ ინფორმაციას ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთ შეატყობინებენ მესამე პირებს, რომლებთანაც დადებული აქვთ ხელშეკრულებები პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, მათ შორის მომსახურების უფლებამოსილ მომწოდებლებს, პარტნიორებს და სხვა მესამე პირებს, აუცილებლობის შემთხვევაში, მოცემული პირობების შესაბამისად, ასევე გზავნილის განხორციელების, შემდგომი გზავნილების გამარტივების, ინფორმაციის და მესამე პირების შესახებ ინფორმაციის ღია წყაროებიდან მიღებული მონაცემებით, მაგალითად თქვენი მისამართის სისწორის შესამოწმებელი მონაცემებით შევსების მიზნით. ეს ასევე საშუალებას მისცემს Western Union-ს, დახვეწოს მომსახურება და აამაღლოს მისი ხარისხი. Western Union-ს და Western Union-ის პარტნიორებს უფლება აქვთ გააცხადონ ინფორმაცია და მესამე პირების შესახებ ინფორმაცია აუცილებლობის შემთხვევაში, დანაშაულების თავიდან აცილების, ეროვნული უშიშროების დაცვის და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის. Western Union-ი ინახავს ინფორმაციას, თქვენს მარკეტინგულ პრიორიტეტებსა და გზავნილების ისტორიას კანონით განსაზღვრული, ამ მიზნების მიღწევისათვის საჭირო მთელი პერიოდის განმავლობაში და ასევე მონაცემთა შენახვის ჩვენი პოლიტიკის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნი გარკვეული დროის განმავლობაში არცერთ გზავნილს არ ახორციელებს, გამგზავნის შესახებ მთელი ინფორმაცია და მისი მარკეტინგული პრიორიტეტები წაიშლება. ამ ბლანკზე ხელმოწერით თქვენ თანხმობას აცხადებთ ინფორმაციის გადაცემაზე თქვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მათ შორის აშშ-ში, ქვეყნებში, სადაც ინფორმაციის დაცვის შესახებ კანონმდებლობა არ არის მკაცრი. ინფორმაცია გადაიცემა მოცემულ პირობებში მითითებული მიზნებით, თქვენთვის გზავნილის განხორციელებასთან დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე დამატებითი მომსახურების გაწევისათვის, საქმიანობის პროგრამების რეალიზაციის, ასევე შიდა მოხმარებისათვის, კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის, მარკეტინგის გამოკვლევების ჩატარების მიზნით. გადასაცემი მონაცემები პერსონალურ მონაცემებს წარმოადგენს საკონტაქტო ინფორმაციის, ფულადი გზავნილის, გზავნილების ისტორიის და სხვა ნებისმიერი თქვენს მიერ მიწოდებული ინფორმაციის ჩათვლით. აღნიშნული მონაცემები გამოყენებული კანონმდებლობის შესაბამისად და წინამდებარე პირობებში მითითებული მიზნებისათვის შეიძლება მისაწვდომი იყოს Western Union-თან აფილირებული პირებისათვის, როგორებიცაა: Western Union Payment Services Ireland Ltd, Western Union UK Limited, Western Union International Limited და Western Union Financial Services Inc, MT Payment Services Network EU/EEA Ltd, MT International Operations Limited, WU Payment Services Network EU/EEA Ltd.თქვენ უფლება გაქვთ მოითხოვოთ საკუთარ პერსონალურ მონაცემებთან დაშვება, ამ მონაცემების ასლის მიღება, რისთვისაც Western Union-ს და პარტნიორებს მცირე საფასურის დაწესება შეუძლიათ, თუ ეს კანონმდებლობით არ არის აკრძალული. თქვენ უფლება გაქვთ ცვლილებები შეიტანოთ ინფორმაციაში, გაანადგუროთ ან დაბლოკოთ არასრული ან მოძველებული ინფორმაცია, თუ ინფორმაცის დამუშავება ემსახურება არა მომსახურების გაწევის ან სხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებულ მიზნებს, თქვენ უფლება გაქვთ კანონიერ საფუძველზე გამოხატოთ პროტესტი ინფორმაციის ამგვარი დამუშავების წინააღმდეგ. თუ გსურთ ისარგებლოთ აღნიშნული უფლებებით ან უარი თქვათ სარეკლამო დაგზავნებზე, გთხოვთ სამუშაო დღის განმავლობაში დარეკოთ ზემოთ მითითებულ ნომერზე.კლიენტურის მხარდაჭერა - თუ თქვენ უკმაყოფილო ხართ მომსახურების ხარისხით, გთხოვთ დარეკოთ ზემოთ მითითებულ ნომერზე.Western Union-ის ფულადი გზავნილების მომსახურება ხორციელდება Western Union-ის ფულადი გზავნილების სისტემის ორგანიზაციების მიერ კომპანია Western Union Financial Services Inc-თან - აშშ (აშშ-დან, კანადიდან და მექსიკიდან ფულადი გზავნილებისათვის, ასევე კომერციული მომსახურებისათვის) და Western Union International Limited-თან - ირლანდია (ყველა დანარჩენი ფულადი გზავნილისათვის) თანამშრომლობით. Copyright © 2011 WESTERN UNION HOLDINGS, INC ყველა უფლება დაცულია. გამოქვეყნებულია 2012 წლის იანვარში

Western Union-ის ფულადი გადარიცხვების მომსახურების („მომსახურება“) პირობები